საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს
გელა გელაძეს

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

სავარაუდო სექსუალური შევიწროების ეფექტიანი გამოკვლევის შესახებ

შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20[1] მუხლისა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად

ბატონო გელა,

2024 წლის 4 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით (N3119/2024) მომართა ა თ მ, რომელმაც სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტის შესწავლა მოითხოვა.

1. ფაქტობრივი გარემოებები

განმცხადებლის მიერ მითითებული გარემოებები

განმცხადებლის მითითებით, **2024 წლის 23 მაისს,** როდესაც სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის მიზნით, იმერეთის პოლიციის დეპარტამენტში იმყოფებოდა, იგი სექსუალური ხასიათის, შეურაცხმყოფელი შეტყობინების ობიექტი გახდა.

კერძოდ, განცხადების თანახმად, საქმის გაცნობის პროცესში, ა თ ს **პროკურორ გ ტ სთან** კონკრეტული საკითხის გარკვევა დასჭირდა. ამ მიზნით, **პროკურორთან კომუნიკაცია საქმის**

მთავარი გამომძიებლის ნ ს მობილური ტელეფონით შედგა. ვინაიდან სატელეფონო ზარი ხმამაღალი რეჟიმის ფუნქციის გამოყენებით მიმდინარეობდა, განმცხადებელი მუდმივად ხედავდა ტელეფონის ეკრანს. შედეგად, **საუბრისას შენიშნა ო ნ სთვის გამომძიებელ გ ჩ ს მიერ *მის შესახებ* გაგზავნილი სექსუალური შინაარსის, დამამცირებელი შეტყობინება, რის გამოც იგი იძულებული გახდა საგამოძიებო უწყება დაეტოვებინა.**

განმცხადებელს წარმოდგენილი აქვს აპლიკაცია "WhatsApp"-ის ***იმავე დღით*** დათარიღებული ეკრანის ანაბეჭდები (ე.წ. „screenshot"-ები), რომლებზეც ასახულია მისი მიმოწერა პროკურორ გ ტ სთან და გამომძიებელ ო ნ სთან.[1]

მომდევნო დღეს განმცხადებელმა ფაქტის შესწავლის მოთხოვნით შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას მიმართა. შემდგომ კვირას (2024 წლის 30 მაისს) კი, შუამდგომლობა წარუდგინა საქართველოს გენერალური პროკურორის მოვალეობის შემსრულებელს, რათა საქმე გამოსაძიებლად პროკურატურას გადასცემოდა, ვინაიდან **საქმის გამომძიებლებთან *ყოველგვარი შემხებლობა* მისთვის *მატრამვირებელი და საფრთხის შემცველი* იქნებოდა.** შესაბამისად, იგი საქმეზე საადვოკატო საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობას მოკლებული იქნებოდა. დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის 2024 წლის 4 ივნისის წერილით (N13/28-36014), ა თ ს ეცნობა, რომ მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. თუმცა, ბრალდების მხარე შეეცდებოდა, უზრუნველეყო საქმის მასალების გაცნობა დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის ადმინისტრაციულ შენობაში. ამასთან, გენერალური ინსპექციის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, გამომძიებელი გ ჩ საქმიდან აცილებულ იქნა.

აღსანიშნავია, რომ განმცხადებელმა და მისმა კოლეგამ საოლქო პროკურატურას ანალოგიური შინაარსის თხოვნით (რომ მისცემოდათ საქმის მასალების პროკურატურის შენობაში გაცნობის შესაძლებლობა) ჯერ კიდევ 2023 წლის 6 ოქტომბერს მიმართეს (განცხადება Nგ-01/3252-23), მიუთითებდნენ რა, რომ, **წინარე გამოცდილებიდან გამომდინარე, არსებობდა საგამოძიებო უწყების კაცი წარმომადგენლების მხრიდან ქალი ადვოკატებისთვის მტრული გარემოს შექმნისა და ზიანის მიყენების საფრთხე**. საყურადღებოა განმცხადებლის შემდეგი მითითებაც: „ერთ-ერთი შემოსვლისას თ გ მ მითხრა, რომ გამომძიებლის ვაკანსია ჰქონდა და თუ შევიტანდი განაცხადს, რეკომენდაციასაც გამიწევდა. ამ შემოთავაზებაზე ვუპასუხე რომ საქმეზე ადვოკატად მუშაობის შემდეგ, ის რომ ჩემი ხელმძღვანელი გამხდარიყო, აუცილებლად მტრულ გარემოს შემიქმნიდა თავადაც და სხვა გამომძიებლებიც, ვინაიდან საქმეში ჩართვის დღიდან დღემდე ვდავობთ არაეფექტურ გამოძიებაზე. **ეს საკითხი რამდენჯერმე ახსენა თ გ მ, რამაც სიცილი გამოიწვია გამომძიებლებში**."

შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაცია

საქმის შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა ინფორმაცია გამოითხოვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტიდან.[2] საპასუხო კორესპონდენციითა[3] და თანდართული დოკუმენტაციით ირკვევა, რომ განმცხადებელთან და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რელევანტურ თანამშრომლებთან გასაუბრებისა და მობილური ტელეფონების დათვალიერების შედეგად, **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მხრიდან, დისციპლინური გადაცდომის ფაქტი არ დადასტურდა.**

სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილია გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურივი მოკვლევის მასალა, მათ შორის ***უფროსი გამომძიებლების თ გ ს, ო ნ ს და გ ჩ ს*** და საქმესთან შემხებლობაში არმყოფი კიდევ ერთი კოლეგის ახსნა-განმარტებები. საქმის მასალებში არ ფიქსირდება პროკურორ გ ტ ს გამოკითხვის ფაქტი.

საქმის მასალის თანახმად, სავარაუდო სექსუალური შევიწროების შემცველი მიმოწერის მონაწილეები ა თ სთან დაკავშირებით უხამსი შეტყობინების გაგზავნის/მიღების ფაქტს უარყოფენ. ამასთან, გამოკითხული პირების მითითებით, თ გ მ, ხსენებული გამომძიებლების თანხმობით, პირადად ნახა მათი მიმოწერა, რომელშიც მსგავსი შეტყობინება არ ფიქსირდებოდა. ზემოაღნიშნული პირები და დამატებით გამოკითხული ერთ-ერთი კოლეგა ხაზს უსვამენ, რომ მსგავსი სახის შეტყობინება არც დეპარტამენტის საერთო სამსახურებრივ სასაუბრო სივრცეში (ე.წ. "ჩატში") გაგზავნილა.

როგორც ო ნ ახსნა-განმარტებაში აღნიშნავს, მას შემდეგ, რაც პროკურორთან სასაუბროდ, ა თ ს საკუთარი მობილური ტელეფონი გადასცა, სიგარეტის მოსაწევად, აივანზე გავიდა. უკან დაბრუნებულს კი, ა თ მ განუმარტა, რომ მუშაობა დაასრულა და ადმინისტრაციული შენობა რაიმე ინციდენტის გარეშე დატოვა.

გენერალური ინსპექციის მიერ გამოკითხული პირები ადასტურებენ, რომ **ა თ საქმის მასალების გაცნობას 2024 წლის 23 და 24 მაისს გეგმავდა და 23 მაისს, გასაცნობად, საქმის მასალების მხოლოდ ნაწილი გადასცეს.** საგულისხმოა ისიც, რომ თ გ ს, 23 მაისს ა თ სთვის სამუშაო გარემოს შექმნის პროცესში, განმცხადებელთან უშუალო კომუნიკაცია ჰქონდა და ა თ ინფორმირებული იყო, რომ, საჭიროების შემთხვევაში, შეეძლო მისთვის მიემართა. თუმცა, განმცხადებლის მიერ ადმინისტრაციული შენობის დატოვების თაობაზე უფროსმა გამომძიებელმა მხოლოდ მას შემდეგ შეიტყო, რაც დაახლოებით 15:30 საათზე მას პროკურორი გ ტ დაუკავშირდა და აცნობა, რომ ა თ *განრისხებული* იყო.

ზემოხსენებული პირების გამოკითხვის გარდა, სამსახურებრივი შემოწმების ფარგლებში, დათვალიერდა სავარაუდო მიმოწერის მონაწილე პირთა მობილური ტელეფონები, რომელთა დათვალიერების ოქმების თანახმად: "მობილურ ტელეფონ[ებ]ში არსებული ინფორმაციის დათვალიერების შედეგად საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია, მათ შორის მოკლე ტექსტური (sms) შეტყობინებები, რომელიც დაადასტურებდა ა თ ს განცხადებაში მოყვანილ გარემოებებს აღმოჩენილი ვერ იქნა."

ა თ ს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 9 ივლისის წერილით (MIA 3 24 02063597) ეცნობა, რომ, ზემოაღნიშნულის მიუხედავად, სამინისტროს იმერეთის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო სამმართველოს მოსამსახურეები „მკაცრად იქნენ გაფრთხილებულნი მოქალაქეებთან ურთიერთობისას იხელმძღვანელონ „საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსით" გათვალისწინებული მოთხოვნებით: იყვნენ თავაზიანი, მშვიდი, ტაქტიანი, გაწონასწორებული, გამოიჩინონ გულისხმიერება და ტოლერანტობა, პატივი სცენ ადამიანის ძირითად უფლებებს და თავისუფლებებს."

გენერალური ინსპექციის სამსახურებრივ შემოწმებასთან დაკავშირებით, ა თ მ სახალხო დამცველის აპარატში 2024 წლის 23 აგვისტოს წარმოადგინა დამატებითი პოზიცია (N4888/2024), რომლის თანახმადაც, **მობილური ტელეფონების დათვალიერების ოქმები მის მიერ მოწოდებული ინფორმაციის უარსაყოფად ვერ გამოდგება, ვინაიდან შესაბამისი ოქმები არ შეიცავს ინფორმაციას, თუ რამდენად ფიქსირდებოდა დროის შესაბამის მონაკვეთში ამა თუ იმ აპლიკაციაში წაშლილი შეტყობინებები.**

განმცხადებელი, ასევე, ხაზს უსვამს, რომ განსახილველი შეტყობინების წაკითხვის შემდეგ, **იგი ძალიან აღელვებული იყო და არ ჰქონდა ემოციური რესურსი,** რათა იმ მომენტში პირადად დაპირისპირებოდა პოლიციის თანამშრომლებს. ამასთან, შიშობდა, რომ ამ თემაზე პოლიციის თანამშრომლებთან პირადი კომუნიკაცია **არ იქნებოდა მისთვის უსაფრთხო**, მით უფრო, იმ პირობებში, როდესაც იგი მარტო იყო და მობილური ტელეფონი თან არ ჰქონდა. გარდა ამისა, იგი ხაზს უსვამს, რომ **არ არსებობს რაიმე მოტივი,** რის გამოც მას შეიძლებოდა გ ჩ სთვის სადავო ქმედების ჩადენა დაებრალებინა.

2. სამართლებრივი დასაბუთება

2.1. ზოგადი დებულებები

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3[2] პუნქტის თანახმად, სექსუალური შევიწროება არის ***სექსუალური ხასიათის ნებისმიერი არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას ან მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.*** „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ" ევროპის საბჭოს კონვენციის („სტამბოლის კონვენცია") განმარტებითი ბარათის თანახმად, სექსუალური შევიწროება მრავალი ფორმით შეიძლება გამოვლინდეს, ეს შეიძლება იყოს წერილობითი ან ზეპირი ფორმით სექსუალური ხასიათის ნებისმიერი შენიშვნა, შეკითხვა, ხუმრობა; ასევე, ნებისმიერი გამოხატვა ან კომუნიკაცია, რომელიც არ მოიცავს სიტყვებს, მაგალითად, მიმიკური გამოხატვა, ხელით მოძრაობები ან სიმბოლოები; ან ნებისმიერი სექსუალური ხასიათის ქცევა, რომელიც მსხვერპლის სხეულზე არასასურველ შეხებას გულისხმობს.[4]

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულია საქმის წარმოებისას მტკიცების ტვირთის გადანაწილების სტანდარტი, რომლის თანახმად, პირმა საქართველოს სახალხო დამცველს უნდა წარუდგინოს ***ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები,*** რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც სავარაუდო დისკრიმინაციული ქმედების განმახორციელებელ პირს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა.

2.2. სავარაუდო სექსუალური შევიწროება განსახილველი საქმის კონტექსტში

სექსუალური შევიწრობის საქმეები, როგორც წესი, გამოირჩევა <u>ფარულობით და პირდაპირი მტკიცებულებების მოპოვების სირთულით.</u>

მოცემულ შემთხვევაში, სექსუალური შევიწროების დადგენის თვალსაზრისით, **ფაქტის დადასტურების საკითხს** არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. მით უფრო მაშინ, როდესაც სამსახურებრივი შემოწმების მასალებსა (მათ შორის, შეტყობინების ავტორის ახსნა-განმარტებაში) და შემაჯამებელ დოკუმენტში შინაარსობრივი შეფასების კუთხით, რაიმე საწინააღმდეგო მტკიცება არ ფიქსირდება. მხარეთა საკვანძო წინააღმდეგობა მიემართება იმ საკითხს, თუ რამდენად გაიგზავნა შეტყობინება, ზუსტად ეს არის ამ საქმეში მთავარი და არსებითი გარემოება, რომელიც საჭიროებდა სათანადო გამორკვევას.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები

სადავო შეტყობინების ამსახველი **პირდაპირი მტკიცებულება** (გ ჩ სა და ო ნ ს მიმოწერის ეკრანის ანაბეჭდი) საქმეში წარმოდგენილი არ არის. აღსანიშნავია, რომ იმ ფაქტების გათვალისწინებით, რასაც განმცხადებელი მიუთითებს, **მისთვის მსგავსი მტკიცებულების მოპოვება ობიექტურად შეუძლებელი იქნებოდა**, ვინაიდან მიმოწერა მესამე პირების მობილურ ტელეფონებში ინახებოდა, ხოლო, თავად მობილური ტელეფონი თან არ ჰქონდა. შესაბამისად, ვერც შესაბამისი შეტყობინებისთვის სურათის გადაღებას მოახერხებდა.

თუმცა, განმცხადებელს წარმოდგენილი აქვს იმერეთის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის დატოვების შემდეგ განხორციელებული მიმოწერის ეკრანის ანაბეჭდები, რომლებშიც სადავო შეტყობინებაზე მიუთითებს. კერძოდ, განმცხადებელი იმავე დღეს წერს ო ნ ს არ წაშალოს გ ჩ ს მინაწერი მასთან დაკავშირებით და ზუსტად ახსოვს როდის რა მისწერა გ ჩ მ. გარდა ამისა, განმცხადებელს იმავე დღეს კომუნიკაცია აქვს პროკურორ გ ტ სთან, რომელსაც ატყობინებს მიღებული შეტყობინების შინაარსს[5] და სთხოვს მას ამოიღოს გ ჩ სა და ო ნ ს მიმოწერები.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია სავარაუდო მსხვერპლის მიერ დაწესებულების შიდა მექანიზმის ფარგლებში წარდგენილი ოფიციალური/არაოფიციალური **საჩივარი**.[6] მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებელს ამ კუთხითაც აქვს მტკიცებულებები წარმოდგენილი. კერძოდ, საქმის მასალებით დგინდება, ერთი მხრივ, შემთხვევის მომდევნო დღეს ფაქტის შესწავლის მოთხოვნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციისთვის მიმართვა. შემდგომ კვირას კი, შუამდგომლობა წარუდგინა საქართველოს გენერალური პროკურორის მოვალეობის შემსრულებელს, რათა საქმე გამოსაძიებლად პროკურატურას გადასცემოდა.

ამასთან, სექსუალური შევიწროების საქმეებში განმხილველმა ორგანომ მნიშვნელოვანია ის ფიზიკური და ემოციური **გავლენა გაითვალისწინოს**, რაც შემავიწროებლის სექსუალურმა ქცევამ გამოიწვია. მოცემულ შემთხვევაში, ა თ ს მძიმე ემოციურ მდგომარეობას დამაჯერებლად აღწერს საქმეში არსებული მტკიცებულებები, თუმცა შინაგან საქმეთა სამინისტროს აღნიშნულ გარემოებაზე შეფასების დროს არ აქვს ყურადღება გამახვილებული.

გარდა ამისა აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ განმცხადებელი საქმის მასალებს **ორი დღის** განმავლობაში უნდა გაცნობოდა. თუმცა, განმცხადებელი იმერეთის პოლიციის დეპარტამენტში მხოლოდ 2024 წლის 23 მაისს იმყოფებოდა (იმერეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მხრიდან საწინააღმდეგო მტკიცება საქმის მასალებში არ ფიქსირდება), მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ დღეს, როგორც ზემოთ აღინიშნა, მას საქმის მასალების მხოლოდ ნაწილი გადაეცა. შესაბამისად, განმცხადებლის რეაქცია შეესაბამებოდა სავარაუდოდ მის მიმართ განხორციელებულ მოულოდნელ სექსუალურ, საქმიან ადგილზე მიუღებელ ქცევას.[7]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელმა შეასრულა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა - წარმოადგინა ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც სექსუალური შევიწროების განხორციელების **ვარაუდის წარმოშობის** საფუძველს იძლევა, რის შედეგადაც, მტკიცების ტვირთი მოპასუხე მხარეზე გადავიდა და მას უნდა დაედასტურებინა, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა.

მოპასუხე მხარის მტკიცებულებები

სექსუალური შევიწროების ვარაუდის გასაქარწყლებლად და თავისი შეფასებების სისწორის დასადასტურებლად შინაგან საქმეთა სამინისტრომ სახალხო დამცველის აპარატში წარმოადგინა სამსახურებრივი შემოწმების საქმის მასალები: იმერეთის პოლიციის დეპარტამენტის 4 თანამშრომლის[8] ახსნა-განმარტება და სადავო მიმოწერის მონაწილე პირების მობილური ტელეფონების დათვალიერების ოქმები.

საქმის მასალების გაცნობის შედეგად, სახალხო დამცველი ნაკლებად დამაჯერებლად მივიჩნევს სადავო შეტყობინების სავარაუდო ავტორის გ ჩ ს ახსნა-განმარტებას, ვინაიდან **სავარაუდო შემავიწროებლის მიერ სექსუალური შევიწროების ფაქტის მხოლოდ ზოგადი უარყოფა არ განიხილება წონად არგუმენტად, თუ მას მსხვერპლის მიერ წარმოდგენილი სხვა მტკიცებულება უპირისპირდება**. მოცემულ შემთხვევაში, როგორც ზემოთ გაანალიზდა, განმცხადებელს არაერთი მტკიცებულება (კერძოდ, თავად მისი ახსნა-განმარტება, იმავე დღეს განხორციელებული მიმოწერები პროკურორთან და გამომძიებელთან, მის მიერ იმერეთის ვადაზე ადრე დატოვება, ოფიციალური საჩივრით მიმართვა შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის და პროკურატურისთვის, ასევე სახალხო დამცველის აპარატისთვის) აქვს წარმოდგენილი.

ასევე ო ნ ს ახსნა-განმარტება, პრობლემურად შეიძლება ჩაითვალოს **სანდოობის** თვალსაზრისით, ვინაიდან მისი, როგორც სავარაუდო შემავიწროებლის თანამშრომლის მითითების უპირობო გათვალისწინება **მიკერძოებულობისა და სუბიექტურობის რისკებს** უკავშირდება. ამ ნაწილში, სახალხო დამცველი ყურადღებას მიაპყრობს ზოგად კონტექსტსაც. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიშის - „გენერალური ინსპექციების საქმიანობის საკანონმდებლო და პრაქტიკული ანალიზი“ - მიგნებების მიხედვით: „მოქალაქის ინიციატივით დაწყებულ ყველა საქმეში შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, როგორც მოქალაქის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში დადანაშაულებული პოლიციელი/პოლიციელები, ისე **ფაქტთან შემხებლობაში მყოფი სხვა თანამშრომლები**, უარყოფენ ფაქტს, არ ადასტურებენ მოქალაქის მიერ გადაცემულ ინფორმაციას. შესაბამისად, **ასეთ საქმეებზე ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვების განსაკუთრებული საჭიროება დგება**.“[9]

ასევე, ნაკლებად დამაჯერებელია **თ გ ს** ახსნა-განმარტება, იქიდან გამომდინარე, რომ **მის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, ძირითადად, გ ჩ სა და ო ნ ს განმარტებებს ეფუძნება**. მართალია, მისი მითითებით, მან თავადვე დაათვალიერა გამომძიებლების მობილური ტელეფონები,

თუმცა, სახალხო დამცველი ვერ გამორიცხავს გამომძიებლების მიერ სადავო შეტყობინების წაშლის თაობაზე, განმცხადებლის მიერ ხაზგასმულ შესაძლებლობას.[10]

დაბოლოს, საქმის შეფასებისთვის მინიმალური ღირებულების მქონეა **იმერეთის პოლიციის დეპარტამენტის ერთ-ერთი თანამშრომლის** ახსნა-განმარტებაც, რომელსაც განსახილველ შემთხვევასთან შემხებლობა არ ჰქონია და მხოლოდ იმას განმარტავს, რომ მსგავსი სახის შეტყობინება დეპარტამენტის საერთო სამსახურებრივ სასაუბრო სივრცეში (ე.წ. "ჩატში") არ გაგზავნილა. სექსუალური შევიწროება, უმეტესად, **ფარულობით ხასიათდება და შემავიწროებლები ამგვარ ქმედებას სხვების თანდასწრებით იშვიათად თუ ახორციელებენ.** შესაბამისად, მეტად სავარაუდოა, რომ სადავო შეტყობინება პირადი მიმოწერის ფარგლებში გაიგზავნა.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ **პროკურორი გ ტ , რომელსაც ა თ მ მომხდარის შესახებ სამმართველოდან გამოსვლისთანავე შეატყობინა, <u>გამოკითხული არ ყოფილა</u> მაშინ, როცა იგი, ხსენებული გარემოებიდან გამომდინარე, უმნიშვნელოვანეს არაპირდაპირ მოწმედ უნდა განხილულიყო.** საგულისხმოა ისიც, რომ საქმის მასალების თანახმად, სადავო შეტყობინებასთან შემხებლობაში მყოფი გამომძიებლების უფროსთან კომუნიკაციის შემდეგ, პროკურორმა განმცხადებელს მისწერა, რომ **მას ბოდიშს მოუხდიდნენ და გამომძიებლები საყვედურსაც მიიღებდნენ.[11]**

სახალხო დამცველი **მობილური ტელეფონების დათვალიერების ოქმებს** მოპასუხის მხარეს არსებულ წონად და ნეიტრალურ მტკიცებულებად მიიჩნევს. თუმცა, ამავდროულად, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შესაბამისი ოქმები არ შეიცავს ინფორმაციას, თუ რამდენად ფიქსირდებოდა დროის შესაბამის მონაკვეთში ამა თუ იმ აპლიკაციაში წაშლილი შეტყობინებები, ვინაიდან მხოლოდ ზოგადად არის აღნიშნული, რომ პერსონალური კომპიუტერის გამოყენებით, დათვალიერდა მობილური ტელეფონები და მათში არსებული ინფორმაცია, რის შედეგადაც „საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია, მათ შორის მოკლეტექსტური (sms) შეტყობინებები, რომელიც დაადასტურებდა ა თ ს განცხადებაში მოყვანილ გარემოებებს აღმოჩენილი ვერ იქნა." <u>ოქმში არ არის მითითებული, თუ რა მეთოდითა თუ პროცედურით განხორციელდა მობილური ტელეფონების დათვალიერება, კონკრეტულად რა ინფორმაცია დათვალიერდა და რამდენად იძლეოდა დათვალიერების პროცესი წაშლილი შეტყობინებების იდენტიფიცირების ან/და აღდგენის შესაძლებლობას.</u> ამასთან, ოქმს არ ახლავს დროის შესაბამის მონაკვეთში გამომძიებლების სასაუბრო სივრცეების ეკრანის ანაბეჭდები (ე.წ. "screenshot"-ები). ამგვარ პირობებში, <u>დათვალიერების შედეგებზე მხოლოდ ზოგადი მითითება საკმარისი ვერ იქნება იმის დასადგენად, თუ რამდენად დეტალური დათვალიერება ჩაუტარდა გამომძიებლების მობილურ ტელეფონებს.</u>

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **ა თ მ მისთვის ობიექტურად მოპოვებადი მტკიცებულებების წარმოდგენის გზით, სექსუალური შევიწროების ვარაუდი წარმოშვა. მოპასუხის მიერ კი, არ განხორციელებულა სათანადო და დეტალური წარმოება საქმის გარემოებების შესასწავლად და ობიექტური, ნეიტრალური მტკიცებულებების მოსაპოვებლად.**

ქმედების შინაარსობრივი შეფასება

სახალხო დამცველის შეფასებით, განსახილველი სავარაუდო ქმედება, თავისი შინაარსით, სექსუალური შევიწროების ყველა ინდიკატორს აკმაყოფილებს. კერძოდ:

- შესაფასებელი შეტყობინება **წარმოადგენს სექსუალური ხასიათის ფრაზას**.
- ადვილად განჭვრეტადია ქმედების **არასასურველობაც**. გამომძიებლებს შორის ქალი ადვოკატის შესახებ სექსუალური კონოტაციის მატარებელი ქილიკი ცალსახად სცდება მიღებული/დასაშვები ქცევის ფარგლებს და მის მიმართ უპატივცემულო დამოკიდებულებაზე მიანიშნებს.
- ქმედებას **შედეგად** მოჰყვა განმცხადებლის **ღირსების შელახვა და შეურაცხყოფა**, რასაც ზოგადი, გონივრული შეფასების გარდა, ა თ ს არაერთი მითითებაც ადასტურებს, მათ შორის, მაგალითად: „ცხოვრებაში ასეთი შეურაცხყოფა არავის მოუყენებია ჩემთვის." ერთი მხრივ, შეტყობინების შინაარსი სცდება „უწყინარ" კომპლიმენტებსა თუ „მსუბუქ" ხუმრობებს, ხოლო, მეორე მხრივ, ქმედების სიმძიმეზე განმცხადებლის ფსიქო-ემოციური მდგომარეობაც მეტყველებს[12].

სავარაუდო ქმედება ვერბალურად გამოხატულ სექსუალურ შევიწროებად უნდა მივიჩნიოთ, მიუხედავად იმისა, რომ ფრაზა უშუალოდ განმცხადებელთან კომუნიკაციის ფარგლებში არ გაჟღერებულა.[13] ამ მხრივ, სახალხო დამცველი ხაზს უსვამს, რომ სექსუალური შევიწროების გავლენიდან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება **ორგანიზაციული/ინსტიტუციური კულტურის** საკითხს.[14] ამასთან, სექსუალური შევიწროების ფაქტის შეფასებისას, აუცილებელია **„ქალის მიერ გონივრული აღქმის სტანდარტის"** (reasonable woman) გამოყენება, რომლის „იდეური ქვაკუთხედი სექსუალური შევიწროების საკითხის **ქალის პერსპექტივიდან** დანახვაა."[15] აღნიშნული სტანდარტის შესაბამისად, არცერთ ქალს არ უნდა უწევდეს მუშაობა ისეთ გარემოში, რომელშიც ქალები **„მამაკაცის სექსუალური ფანტაზიის ნივთებად"** მიიჩნევიან.[16]

ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, სახალხო დამცველი ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებას, რომ სადავო სექსუალური შინაარსის შეურაცხმყოფელი შეტყობინება **პროფესიულ გარემოში გაიგზავნა.** კერძოდ, როგორც საქმის მასალებით დგინდება, შემთხვევასთან შემხებლობაში მყოფი ყველა პირი **საერთო სამუშაო პროცესში** იმყოფებოდა და ა თ ს, როგორც საქმის ადვოკატს გ

ჩ სთან და ო ნ სთან, როგორც საქმის გამომძიებლებთან პროფესიული კომუნიკაცია ჰქონდა.

ზოგადად, ორ ადამიანს შორის სექსუალური კონოტაციის მატარებელი მიმოწერა, ბუნებრივია, სექსუალური შევიწროების კონტექსტში არ განიხილება. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, სავარაუდო შეტყობინება გასცდა პირადი მიმოწერის ფარგლებს და მსგავს მოცემულობაში, ადვოკატის შესახებ კოლეგა გამომძიებლისთვის მიწერილი სექსუალური ფანტაზიის შემცველი შეურაცხმყოფელი სექსუალური შინაარსის შეტყობინების მხოლოდ პირადი მიმოწერის საფარქვეშ განხილვა გაუმართლებლია, მისი სიმძიმიდან გამომდინარე, ვინაიდან გ ჩ რეალურ დროსა და არსებული პროფესიული ურთიერთობის კონტექსტში მეორე გამომძიებელთან აკნინებდა ა თ ს, მის პროფესიულ როლს და განიხილავდა მას გამომძიებელთან (ო ნ სთან) სექსუალურ ურთიერთობაში მყოფ პირად. შესაბამისად, შედეგობრივად, სავარაუდო შეტყობინება უკვე **პროფესიულ ურთიერთობაზე იყო ზეგავლენის მომხდენი.** მით უფრო მაშინ, როდესაც, ნებსით თუ უნებლიედ, **მან განმცხადებლამდე მიაღწია** (დადასტურების შემთხვევაში) და მის ღირსებაზე და მუშაობის გაგრძელების შესაძლებლობაზე იმოქმედა. დადგენილი სტანდარტის მიხედვით, **ფაქტის დადგენის არსებით ინდიკატორად სწორედ სექსუალური შევიწროებით დამდგარი შედეგი მიიჩნევა**.[17]

ზემოთ განხილული გარემოებები ადვილად წარმოსადგენს ხდის სავარაუდო მსხვერპლის პერსპექტივას: იგი პროფესიული მოვალეობის შესასრულებლად, მარტო იმყოფებოდა ძალოვანი უწყების წარმომადგენელი მამაკაცებით დომინირებულ სამუშაო გარემოში, სადაც, მისი მითითებით, წარსულშიც ჰქონია მტრული გარემოს შექმნის გამოცდილება, როდესაც გამომძიებლები მისი დეპარტამენტში დასაქმების შესაძლებლობაზე ქილიკობდნენ. ამგვარ ვითარებაში, მის შესახებ სავარაუდო სექსუალური ფანტაზიის გამომჟღავნებას, შესაძლოა, შეექმნა წარმოდგენა, რომ მას აღიქვამდნენ არა როგორც სამუშაო პროცესის მონაწილე პროფესიონალს, არამედ როგორც ობიექტივიზებულ ქალს, რაც მისთვის, ბუნებრივია, შეურაცხმყოფელი და ღირსების შემლახველი იქნებოდა და მუშაობის გაგრძელებაშიც შეუშლიდა ხელს.

2.3. *საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებლობა*

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად: „დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად ნებისმიერი დაწესებულება ვალდებულია … სავარაუდო დისკრიმინაციის ნებისმიერ ფაქტზე სწრაფი და **ეფექტიანი** რეაგირება მოახდინოს.” სექსუალური შევიწროების უარყოფითი გავლენიდან გამომდინარე, სავარაუდო სექსუალური შევიწროების შემთხვევებში, მოქმედებს **პასუხისმგებლობის სამკუთხა პრინციპი**, რომლის ფარგლებშიც, შემავიწროებლის პასუხისმგებლობასთან ერთად, სექსუალური შევიწროების ფაქტზე **არასათანადო რეაგირების** ან მისი სრული იგნორირების შემთხვევაში, დაწესებულების პასუხისმგებლობაც დგება.[18]

პასუხისმგებლობის ამგვარი პრინციპიდან გამომდინარე, როდესაც დაწესებულება მიიღებს საჩივარს ან სხვაგვარად შეიტყობს სავარაუდო სექსუალური შევიწროების შემთხვევის შესახებ, სწრაფად და **სიღრმისეულად** უნდა შეისწავლოს ფაქტები და მიიღოს ყველა საჭირო ზომა მის აღმოსაფხვრელად.[19] სექსუალური შევიწროების საქმეების შესწავლის დროს უმნიშვნელოვანესია, შემსწავლელი ორგანოს მიდგომა იყოს პასუხისმგებლიანი, სერიოზული, დროული და მგრძნობიარე. ასევე - საქმის შესწავლის პროცესში გამოყენებული იყოს სავარაუდო **მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომა**.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ამ კუთხით, განსაკუთრებით გამოყოფს სახელმწიფო ორგანოების პასუხისმგებლობას. სასამართლო შევიწროებასა და სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებულ საქმეებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით დაცული პირადი ცხოვრების უფლების ფარგლებში განიხილავს და განმარტავს, რომ სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, სხვა პირებისგან დაიცვან ინდივიდის ფიზიკური და მორალური მთლიანობა.[20] **კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა დგინდება, მათ შორის, ისეთ შემთხვევებში, როდესაც საქმის შემსწავლელი ორგანოები არ აფასებენ ყველა რელევანტურ გარემოებას და მხედველობაში არ იღებენ მთლიან კონტექსტს**.[21] ევროპული სასამართლო ადგენს, მათ შორის, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან სექსუალური შევიწროების სრულფასოვნად გამოკვლევისა და შეფასების ვალდებულებას - როგორც პოზიტიურ ვალდებულებას.[22]

სახალხო დამცველის შეფასებით, საქმეში არსებული მტკიცებულებები არ ქმნის მყარ საფუძველს იმის დასადგენად, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ ყველა ზომას მიმართა ფაქტის სიღრმისეული მოკვლევისა და შეფასების მიზნით, რაც არასაკმარის რეაგირებაზე მიუთითებს.

უწყება მხოლოდ ნახევარ-გვერდიანი მითითებით შემოიფარგლება, რომ განმცხადებელთან და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რელევანტურ თანამშრომლებთან გასაუბრებისა და მობილური ტელეფონების დათვალიერების შედეგად, რაიმე სახის დისციპლინური გადაცდომის ფაქტი არ დადასტურდა. ***იგი არ მსჯელობს თითოეული გარემოებისა თუ მტკიცებულების წონაზე; არ ახსენებს და აანალიზებს განმცხადებლის მიერ წარდგენილ ეკრანის ანაბეჭდებს; ფაქტის დადგენის თვალსაზრისით, ადგენს არასაკმარისად დეტალურ მობილური ტელეფონების დათვალიერების ოქმებს.*** შედეგად, ძნელია დავადგინოთ, რომ საქმის შესწავლის პროცესში მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომა იყო გამოყენებული.

გენერალური ინსპექციის დასკვნის შაბლონურ ხასიათს ადასტურებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რელევანტური პრაქტიკაც, რომლის ფარგლებშიც, სექსუალური შევიწროების ფაქტებზე რეაგირების შეფასების თვალსაზრისით, ყურადღება ექცევა, რამდენად არის შესაბამის გადაწყვეტილებებში ასახული და ახსნილი, თუ როგორ მივიდა საქმის შემსწავლელი ორგანო კონკრეტულ დასკვნამდე და როგორ მიუსადაგა მის მიერ ინტერპრეტირებული სამართლებრივი დებულებები საქმის ფაქტობრივ გარემოებებს; ამასთან - რამდენად არის გაანალიზებული კონკრეტული ქმედება(ებ)ის შედეგები, მსხვერპლის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე ზემოქმედების თვალსაზრისით; აგრეთვე - რამდენად შეფასდა, არსებობდა თუ არა რაიმე მიზეზი, რის გამოც, მსხვერპლი მოპასუხის წინააღმდეგ მცდარ ბრალდებებს წარადგენდა.[23]

სასამართლო ხაზს უსვამს, აგრეთვე, სახელმწიფოების ვალდებულებას, **ჰქონდეთ და პრაქტიკაში იყენებდნენ ადეკვატურ სამართლებრივ ჩარჩოს**, რომელიც უზრუნველყოფს კერძო პირების მხრიდან ჩადენილი ძალადობის აქტებისგან დაცვას, მათ შორის, სამუშაო ადგილზე შევიწროების კონტექსტში.[24]

ამ მხრივ, პრობლემურია, რომ სამინისტროს იმერეთის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო სამმართველოს მოსამსახურეებს მიეთითათ მხოლოდ „საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსით“ გათვალისწინებულ მოთხოვნებზე, იყვნენ „თავაზიანი, მშვიდი, ტაქტიანი, გაწონასწორებული, გამოიჩინონ გულისხმიერება და ტოლერანტობა, პატივი სცენ ადამიანის ძირითად უფლებებს და თავისუფლებებს.“

როგორც სახალხო დამცველს „დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ“ 2022 წლის სპეციალურ ანგარიშშიც აქვს აღნიშნული, **მნიშვნელოვანია, რომ სავარაუდო შევიწროების თაობაზე თითოეულ საჩივარს ექსპლიციტურად სექსუალური შევიწროების მიმართულებით მიეცეს შეფასება**.[25] შემთხვევის შესწავლისას სპეციფიკური, ამ სამართალდარღვევისთვის გათვალისწინებული რეგულაციებისა და შეფასებების გამოყენება არა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს, არამედ საქმის შესწავლის ეფექტიანობას განაპირობებს.

აღნიშნულის საპირისპიროდ, კითხვაზე შემუშავებული აქვს თუ არა შინაგან საქმეთა სამინისტროს სექსუალური შევიწროების პრევენციის შიდა მექანიზმი (სახალხო დამცველის აპარატის 2025 წლის 5 მაისის N25/3572 წერილი), სამინისტროს ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტმა აპარატს აცნობა (2025 წლის 15 მაისის MIA 2 25 01469046 წერილი): „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია, კომპეტენციის ფარგლებში, ახდენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ეთიკის, დისციპლინური ნორმების დარღვევის, სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულებისა და კონკრეტული მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის ფაქტების გამოვლენას და ახორციელებს სათანადო რეაგირებას, მათ შორის, შესაძლო სექსუალური შევიწროების ფაქტებზე.“

ამდენად, ზემოთ მითითებული სტანდარტების საწინააღმდეგოდ, გენერალური ინსპექცია შესაძლო სექსუალური შევიწროების ფაქტებს აფასებს სხვა ეთიკის დამრღვევი მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენისთვის გათვალისწინებული მეთოდოლოგიით, რაც სექსუალური შევიწროების ფაქტის სათანადოდ შესწავლას ვერ უზრუნველყოფს.

3. დასკვნა

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველი „შეისწავლის დისკრიმინაციის ფაქტს როგორც განცხადების ან საჩივრის არსებობისას, ისე საკუთარი ინიციატივით და **გამოსცემს შესაბამის რეკომენდაციას**.“

მოცემულ შემთხვევაში, სახალხო დამცველმა შეისწავლა ა თ ს განცხადება, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალ დანაყოფში მის მიმართ განხორციელებულ სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტს შეეხებოდა. იქიდან გამომდინარე, რომ განმცხადებელს მიმართული ჰქონდა აღნიშნულ სისტემაში ეთიკის, დისციპლინური ნორმების დარღვევის, სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულებისა და კონკრეტულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის ფაქტების გამოვლენასა და სათანადო რეაგირებაზე პასუხისმგებელი ორგანოსთვის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციისთვის,[26] სახალხო დამცველმა შეისწავლა სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტთან დაკავშირებით, გენერალური ინსპექციის მხრიდან განხორციელებული რეაგირება.

საქმის შესწავლის შედეგად, დადგინდა, რომ ა თ ს განცხადების საფუძველზე ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების ფარგლებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას არ შეუსწავლია და სათანადოდ არ შეუფასებია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე შემდეგი მტკიცებულებები და ფაქტობრივი გარემოებები:

- პირდაპირი მტკიცებულების (გ ჩ სა და ო ნ ს მიმოწერის ეკრანის ანაბეჭდი) არარსებობა, რომლის მოპოვება განმცხადებლისთვის ობიექტურად შეუძლებელი იყო;
- ფაქტის დასადგენად, მის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების რელევანტურობა, სანდოობა, მიკერძოებულობისა და სუბიექტურობის რისკები (იმერეთის პოლიციის დეპარტამენტის 4 თანამშრომლის ახსნა-განმარტება) და საკმარისობა (პროკურორ გ ტ ს გამოკითხვის განუხორციელებლობა და მობილური ტელეფონების დათვალიერების ოქმებში ასახული ინფორმაციის არადეტალური ხასიათი);

- იმერეთის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის დატოვების შემდეგ, განმცხადებლის მიერ განხორციელებული მიმოწერის ეკრანის ანაბეჭდები და მის მიერ უფლებამოსილ ორგანოებში განცხადებებისა და საჩივრების წარდგენის ფაქტი;
- განმცხადებლის მიერ იმერეთის პოლიციის დეპარტამენტის იმავე დღეს დატოვება მაშინ, როცა იგი საქმის მასალებს ორი დღის განმავლობაში უნდა გაცნობოდა.

გენერალურ ინსპექციას ეროვნული და საერთაშორისო ინსტრუმენტებით განსაზღვრული პასუხისმგებლობის შესაბამისად, ფაქტის სიღრმისეული მოკვლევისა და შეფასების მიზნით, ყველა ზომა რომ მიეღო, იგი ქმედების შინაარსობრივ შეფასებაში შევიდოდა და დაასკვნიდა, რომ განსახილველი სავარაუდო ქმედება, თავისი შინაარსით, სექსუალური შევიწროების ყველა ინდიკატორს აკმაყოფილებდა (შესაფასებელი შეტყობინების სექსუალური ხასიათი, ქმედების ადვილად განჭვრეტადი არასასურველობა და ქმედებას შედეგად, განმცხადებლის ღირსების შელახვა).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს სახალხო დამცველი, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20[1] მუხლითა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- უზრუნველყოს, მომავალში, სავარაუდო სექსუალური შევიწროების შესახებ ინფორმაციის მიღებისას, ფაქტის ეფექტიანი შესწავლა, წინამდებარე დოკუმენტში ხაზგასმული სტანდარტების შესაბამისად, მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომის გამოყენებით, სპეციფიკურად სექსუალური შევიწროების მიმართულებით შეფასების გზით და ამ მიზნით შეიმუშაოს სექსუალური შევიწროების პრევენციისა და სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტის შემსწავლელი შიდა რეაგირების მექანიზმი;
- სისტემატურად უზრუნველყოს სამინისტროს მოსამსახურეთათვის სექსუალური შევიწროების საკითხებზე საინფორმაციო ტრენინგების ჩატარება. (სახალხო დამცველი მზადყოფნას გამოთქვამს, უზრუნველყოს ცნობიერების ამაღლების აქტივობების განხორციელების პროცესში აქტიური ჩართულობა).

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ 20 დღის ვადაში.

პატივისცემით,

---

[1] დანართი N-1

[2] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 25 ივლისის N2024/3181 წერილი.

[3] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 5 აგვისტოს MIA 5 24 02380830 წერილი.

[4] Council of Europe, “Explanatory Report to the Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence”, CETS 210, 2011, §208, გვ. 35; ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/16800d383a.

[5] იხ. დანართი N-1

[6] პრაქტიკული სახელმძღვანელო სექსუალური შევიწროების შესახებ, საქართველოს სახალხო დამცველი, 2020, გვ. 40, ხელმისაწვდომია: < https://ombudsman.ge/res/docs/2021031110082436854.pdf >.

[7] იქვე, გვ. 39.

[8] უფროსი გამომძიებლების თ გ ს, ო ნ ს და გ ჩ ს და საქმესთან შემხებლობაში არმყოფი კიდევ ერთი კოლეგის ახსნა-განმარტებები.

[9] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში “გენერალური ინსპექციების საქმიანობის საკანონმდებლო და პრაქტიკული ანალიზი,” გვ. 42, ხელმისაწვდომია: https://www.ombudsman.ge/res/docs/2024110516510429461.pdf.

[10] ამ კუთხით, დასაბუთება იხ. ქვემოთ.

[11] დანართი N-1

[12] *„არავისთან ლაპარაკის თავი არ მაქვს, ახლა ისე ცუდად ვარ;“ ცხოვრებაში ასეთი შეურაცხყოფა არავის მოუყენებია ჩემთვის; ამას ბოდიში და საყვედური უშველის?; ახლა ისეთი გაცეცხლებული და შეურაცხყოფილი ვარ ახლოს არ მომეკაროს ვინმე.“*

[13] იხ. სახალხო დამცველის 2021 წლის 21 დეკემბრის რეკომენდაცია გ.კ.-ს და შპს “ევოლუშენ ჯორჯიას” დირექტორს, გვ. 9, ხელმისაწვდომია: bit.ly/4iZAKX4

[14] პრაქტიკული სახელმძღვანელო სექსუალური შევიწროების შესახებ, საქართველოს სახალხო დამცველი, 2020, გვ. 47, ხელმისაწვდომია: < https://ombudsman.ge/res/docs/2021031110082436854.pdf >.

[15] იქვე, გვ. 24.

[16] იქვე, გვ. 25.

[17] იქვე, გვ. 28.

[18] იქვე, გვ. 47.

[19] იქვე, გვ 48.

[20] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: *CASE OF ŠPADIJER v. MONTENEGRO*, პარ. 87.

[21] იქვე, პარ. 97, 101.

[22] საქართველოს სახალხო დამცველის კვლევა "სექსუალური შევიწროება საჯარო სივრცეში," გვ. 35-40, ხელმისაწვდომია: https://www.ombudsman.ge/res/docs/2024090413372914679.pdf.

[23] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: C. v. ROMANIA, პარ. 79, 82, ხელმისაწვდომია: https://hudoc.echr.coe.int/#{%22itemid%22:[%22001-218933%22]}.

[24] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: *CASE OF ŠPADIJER v. MONTENEGRO*, პარ. 87.

[25] "დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის ანგარიში, გვ. 5-6.

[26] „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 23 თებერვლის N123 ბრძანება.